



**ოქმი #1**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**ბიუროს მორიგი სხდომის**

2019 წელი, 8 იანვარი  
ქ. ოზურგეთი  
15.00 – 17.30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, ე. გორდელაძე, ლ. საჯანია, ლ.ბიგვაძა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, გ.თოიძე.  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.  
მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, დღის წესრიგის დამტკიცებამდე, დღის წესრიგს დაემატა მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის პროექტი, ამ ცვლილებით სხდომის დღის წესრიგი დაამტკიცეს ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი:** დავით დარჩია

**თანამომხსენებლები:** გია მამაკაიშვილი  
გიორგი ჩაგანავა

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი:** დავით დარჩია

**თანამომხსენებელი:** ეროდი გორდელაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე და ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მდებარე მოედნებსა და ქუჩებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოლისას

გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 აპრილის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვაგა**

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების – ძაღლის და კატის ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 აპრილის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვაგა**

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.


**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: გია მამაკაიშვილი  
გიორგი ჩაგანავა**

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული ხუთივე საკითხი, ბიუროს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

